

მოქნილი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის თანამედროვე
პერსპექტივები

ირაკლი გიგბერია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროგრამული ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა „პროგრამული ინჟინერია“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ თუთბერიძე, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ირაკლი გიგიბერია -----03.01.2021 წელი

აბსტრაქტი

დამოუკიდებლად და დისტანციურად სწავლა 21-ე საუკუნის გამოწვევაა, სადაც განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, სასწავლო პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების აქტიურად და მიზანმიმართულად გამოყენებას წამყვანი როლი უჭირავს.

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით ჩატარებულ კვლევაში, ვებტექნოლოგიებზე დაყრდნობით ჩემს მიერ შემუშავებული პროგრამის გამოცდის დროს, გამოიკვეთა მასწავლი/საწვრთნელი პროგრამის მოქნილობის კოეფიციენტის¹ ამაღლების საჭიროება. შესაბამისად, განვახორციელე კვლევა მოქნილი პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად, სადაც გამოყენებული იყო თანამედროვე მიდგომები და განხილული იყო განსხვავებული პერსპექტივები.

ამ კვლევაში გამოიკვეთა არსებული პროგრამის განვითარების ოპტიმალური გზა, რაც წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომში, მაგალითის სახით.

1. მოქნილობის კოეფიციენტი - კვლევის დროს შემუშავებული ტერმინი, აღწერს ერთეული მოცულობის მოდულის დასამატებლად საჭირო დროს